შაბათი 22 მაისი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 109

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

27

211/1-65
1

„ისრის“ დღევანდელ ნომერთან ერთად რიგდება ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის განცხადება ამ ბანკში დაგირავებულ მამულების საჯაროვაჭრობით გაყიდვის შესახებ 21 ივნისიდან. სულ დღევანდელი ნომერი შეიცავს 28 გვერდს (შვიდ თაბახს). ვთხოვთ გაზეთის მყიდველებს, ყველა ფურცლები მოსთხ ვონ გამყიდველებს.

კვირას, 27 ამა მაისს.

პალერმოს ბაღში (მიხეილის ქ., იუნკრების სასწავლებლის პირდაპირ) გაიმართება

## სეირნობა და ლატარია-ალეგრი

წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.

სეირნობის დროს გამართული იქნება სხვა და სხვა გასართობი ბავშვებისა და დიდებისათვის (ლოტო, დოლი, ანკესი და სხვა); დაუკრავს ორი ორკესტრი და საზანდარი, იმღერებს ქართული ხორო.

**საზოგადოების კანცელარიაში მიიღება შემოწირული ნივთები ალეგრისათვის.**

სეირნობის გამგენი სთხოვენ „საზოგადოების“ აგენტებს, მიაწოდონ პროვინციებიდან შემოწირულებანი. (8—5)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**

**განაზა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**მ. მაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—56)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12- ახლი მდივნისა. (35)

ქ. ქუთაისში
**ექიმი დ. ვ. ფანცხავა**

იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ—17)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—111)

ქ. ქუთაისში
**ბავშვების ექიმი ბადრიძე**

ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—25)

ექიმი
**მ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

**ტფილისში**

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი:** 11—12 ს. საშარდე კანისა და სიფილისი.

**ა. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ა. გ. ავეტისოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. ბ. კიმონგი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**ბ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

**ა. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—65)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოება
(პუშკინის ქუჩა, № 3, საკრედიტო საზოგადოების სახლი)

**მასწავლებელი ქალები** აძლევენ გაკვეთილებს, ასწავლიან ყველა საგანს, ადგილობრივ და ტფილისს გარედ. (15 - 9)

## სკოლა

**ქალ. დიაჩკოვისა და ჯაფარიძისა**

ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებელში. მოსწავლეთა მიღება დაიწყება პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ ბავშვებს საცხოვრებლად. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ი. გოგიჩაიშვილს ამ ადრესით:

Товарищество „Ректификатъ“, Авчальская улица. Телефонъ № 54. (4—100—4)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—108)

**ქუთაისში**

ექიმი მაციუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—12)

ქალაქის სასანიტარო სამკურნალო საბჭო.

აუწყებს მცხოვრებთ, რომ ამ ბოლო დროს ქალაქში გახშირდა **ყვავილი** და ზოგ ადგილას აღმოჩნდა კიდეც ყვავილის ეპიდემიური ბუდეები. ამიტომ საბჭო ურჩევს მცხოვრებთ, მიმართონ **აცრას და რევაქცინაციას** (მეორედ აცრა, თუ პირველ აცრის შემდეგ შვიდი წელიწადია გასული), რომელიც საუკეთესო საშუალებაა ყვავილის წინააღმდეგ. ღარიბს ყვავილს **უფულოდ** უცრიან ქალაქის ყველა სამკურნალოში: ცენტრალურ, კუკიისა, დიდუბისა, ავლაბრისა და ხარფუხისაში დილის 9-დან 11 საათ. უცრიან უფასოდ აგრეთვე ქალაქის ექიმები თავიანთ რაიონებში. ყვავილით ავადმყოფებს იღებენ ქალაქის გადამდებ სენით ავადმყოფთა ბარაკებში (ავლაბარი, ტროიცკის პოსელენიე, № 466). **ექიმობა უფასოა.** გადამდებ სენით ავადმყოფთა გადასაყვანად საავადმყოფოში ქალაქის სადეზინფექციო კამერასთან (ტელეფონი № 172) არის განსაკუთრებული ეტლი, რომლითაც ყველას შეუძლიან უფასოდ ისარგებლოს.

საბჭოს თავმჯდომარე **გ. ნ. სტეფანოვი.**
(3—3) მდივანი **ტ. ხარაზოვი.**



## ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია“-ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы.
(50—73.—17)

„ტფილისის სობრანიე“

გადავიდა რა 20 მაისს საზაფხულო სადგომში, აცნობებს ბ-ნთ წევრებს და კანდიდატებს, რომ სამშაბათობით და კვირაობით ინიშნება საოჯახო საღამოები სათეატრო სიმებიან საკრავების ორკესტრით. შაბათობით საოჯახო საღამოები საზანდრით. ვაჟთა საშუალო სასწავლებლის მოსწავლეებს შესვლა აკრძალული აქვთ. (2—105—1)

ქართული წარმოდგენა

**საარტისტო საზოგადოების თეატრში.**

სამშაბათს, 22 მაისს, ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ, სცენის მოყვარეთა მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

## სამხედრო ბანაკში

დრამა 4 მოქ. ბეიერლეინისა, თარგ. ა. იმედაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. ამირაჯიბი, ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, ი. ზურაბიშვილი, ა. იმედაშვილი, ივანიძე, მატარაძე, სვიმონიძე, ურუშაძე, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

(3—3) **რეჟისორი კ. შათირიშვილი.**

## ტფილისი, 22 მაისი

საეკლესიო სფეროშიაც ისეთივე უძლურება გამოიჩინა რუსეთის ბიუროკრატიამ, როგორც თანამედროვე ცხოვრების სხვა მხარეებში. როგორც პოლიტიკურ წესწყობილების, ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის, სკოლის და სხვა ამგვარ დიად საკითხების გადაწყვეტაში, ისე საეკლესიო განახლების საქმეში ნათლად დამტკიცდა სრული უბადრუკობა ბიუროკრატიის შემოქმედებითის ნიჭისა. ყველგან და ყველაფერში იგი ერთსა და იმავეს ცდილობს, ერთსა და იმავეზე ჰფიქრობს: როგორმე შეაჩეროს აბობოქრებული ტალღა, წინააღუდგეს ახალ დროის მოთხოვნათ; მაგრამ, რა-კი ამისთვის ძალა არ შესწევს, ცდილობს მოატყუოს დრო, მოატყუოს ხალხი და ნამდვილ განახლების მაგიერ ფალსიფიკაციური განახლება მიაწოდოს. პარლამენტარიზმის მაგიერ მან შეჰქმნა ჯერ უნახავი „თვითმპყრობელური კონსტიტუცია“ და ასევე უნდა გააყალბოს ყოველი სხვა საამდროო პოლიტიკურ-სოციალური და საზოგადოებრივი პრობლემაც, მათ შორის საეკლესიოც.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უკიდურეს ხარისხამდე დაეცა და გათახსირდა. იგი ვეღარ აკმაყოფილებს მორწმუნეთა სულიერ მოთხოვნილებათ, ვეღარ აკმაყოფილებს თავის კულტურულ დანიშნულებას და ყოველი ზნეობრივი გავლენა დაჰკარგა. მთავარი მიზეზი ამისა ის არის, რომ ეკლესია სრულებით დაიმორჩილა სახელმწიფომ ანუ, უკეთ ვთქვათ, ბიუროკრატიამ; ეკლესია გადაიქცა ერთ-ერთ „უწყებად“, რომელსაც ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ესე იგი, რუსეთის სინამდვილეს მიხედვით თუ ვიტყვით, პოლიცია, რადგან რუსეთში ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტრო მხოლოდ პოლიციის უწყებაა. ამ უწყების სრული მორჩილი ყმა—ეკლესია—გადაიქცა იმ იარაღად, რომლის შემწეობით თვითმპყრობელს ბიუროკრატიას მონობისა და უმეცრების ბორკილებში ჰყავდა ხალხი. რაღა საკვირველია, რომ გაღვიძებულმა ხალხმა, რომელიც თავგანწირულად მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ, შეიძულა ეკლესიაც და ზურგი შეაქცია ანაფორაში გახვეულ ბიუროკრატებსაც?!..

საერთო განახლებისა და განთავისუფლების ხანაში ბუნებრივად დაიბადა საკითხი ეკლესიის განახლების შესახებაც. მოწინავე საერო და სასულიერო მოაზრეთათვის ცხადი შეიქნა, რომ სრულიად დაცემულ და გათახსირებულ ეკლესიისათვის აუცილებელია ძირითადი რეფორმა, რომ სულთმობრძავს სიკვდილისაგან მხოლოდ რადიკალური განახლება იხსნის და არა შეკეთება, ბიუროკრატიული „დაპაჩინკება“. უნდა ძირიანად აღმოფხვრილიყო მთავარი მიზეზი ეკლესიის დაცემისა, ერთის მხრით, და თანამედროვე პირობების მიხედვით უნდა გადაკეთებულიყო საეკლესიო ორგანიზაცია, მეორეს მხრით; ესე იგი, ეკლესია განთავისუფლებული უნდა ყოფილიყო ბიუროკრატიის ტყვეობიდან და ამასთანავე სრულის დემოკრატიზაციის გზაზე უნდა დამდგარიყო. სწორედ ეს საგანი დაისახა ამ ორის წლის წინად დაწყებულმა ბრძოლამ და აგიტაციამ საეკლესიო და საერო სფეროებში. უმაღლესმა ბიუროკრატიამ მოძრაობის შესაჩერებლად ჯერ რეპრესიებს მიჰმართა, მაგრამ, როცა ვერაფერი გააწყო, ისევ ნაცად გზას დაადგა: მოტყუებასა და რეფორმის ფალსიფიკაციას; აღიარა ძირითად რეფორმის საჭიროება და შეუდგა საქმის პრაქტიკულად განხორციელებას. ეკლესიასაც გაუჩნდა თავისი 17 ოქტომბერი: სრულის განახლების დაპირება ქაღალდზე, ნამდვილად-კი ძველის რეჟიმის არსებითი დაცვა და მხოლოდ ფორმალურად ფერის გამოცვლა. ეს უნდა მოახდინოს მომავალმა „სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებამ“. მაღალმა ბიუროკრატიამ, რასაკვირველია, ისე მოახერხა, რომ ეს კრება სრული ყურმოჭრილი ყმა იქნება და დაადასტურებს ყველაფერს, რასაც უბრძანებენ: ახლად გამოქვეყნებულ წესების თანახმად, სრულ. რუს. საეკლ. კრებაზე გადამწყვეტი ხმის უფლება ექნება მხოლოდ ეპისკოპოსებს, ხოლო მღვდლებსა და ერის კაცთ მარტო რჩევის ხმა ექნებათ; გარდა ამისა, კრებაზე დასასწრებლად არჩეული მღვდლებიცა და ერის კაცებიც ეპისკოპოზმა უნდა დაამტკიცოს. ასეთი საარჩევანო წესი, უეჭველია, სავსებით უზრუნველჰყოფს სინოდის პლანების განხორციელებას!...

ასე ამახინჯებს რუსეთის ბიუროკრატია რუსეთის ეკლესიის განახლების საქმეს. ხოლო ქართველთა ეკლესიის საქმეს დამახინჯებაც არ აკმარა: სრულიად სასაცილოდ და სამასხარაოდ გახადა... საქართველოს ეკლესია უფრო მეტად დასცა და გაანადგურა რუსეთის ცენტრალისტურ-ბიუროკრატიულმა რეჟიმმა. წაართვა დამოუკიდებლობა, წაართვა თავისუფლება, გაცარცვა და ამ გზით სრულებით დაუკარგა ყოველი ავტორიტეტი, ყოველი გავლენა სამწყსოზე. ეკლესიის გამოსაბრუნებლად, მის წესიერად დასაყენებლად აქ უფრო ცხადი იყო ძირითად რეფორმის საჭიროება, ვიდრე თვით რუსეთში; ცხადი იყო, რომ ერთად-ერთი საშუალებაა სრულის დამოუკიდებლობის აღდგენა, სახელმწიფოსაგან განშორება და დემოკრატიულის პრინციპზე დაფუძნებულის წესწყობილების განხორციელება. ამას მოითხოვდა თვით ეკლესიის რეალური ინტერესი და უმაღლესი სამართლიანობაც. ქართველი სამღვდელოება და მორწმუნე საზოგადოება შეუდგნენ კიდეც ამისთვის მუშაობას და ბრძოლას. ბოლოს თვით სინოდმაც გადმოხედა მოწყალე თვალით დაჟინებულს მოთხოვნას; მაგრამ არა იმიტომ, რომ მართლა აესრულებინა სამართლიანი მოთხოვნა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, არამედ იმიტომ რომ თავისი ბატონობა კვლავ განემტკიცებინა, ძველი გადმოეგდო, ხორცი-კი ისევ თავისთვის დაეტოვებინა... ყველას ახსოვს, რა სტადიები განვლო ავტოკეფალიისთვის ბრძოლამ, რამდენი სტანჯა და აწვალა სინოდმა ეს საკითხი სხვა და სხვა კომისიებში, კრებებზე და სხდომებზე და ამიტომ აქ ამაებზე არ შევჩერდებით; ჩვენ გვინდა მხოლოდ მკითხველთა ყურადღება შევაჩეროთ ერთ უკანასკნელს აქტზე, რომელიც პირდაპირ მასხარად აგდებაა საქართველოს ეკლესიის დღევანდელ მისწრაფებისა.

ჩვენ წინა დევს სინოდის ახალი „უქაზი“, რომელიც ბრძანებს: განიხილა-რა საქართველოს საექსარხოსოს ეპისკოპოსებისა და სამღვდელოების რწმუნებულთა კრების თათბირი საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, სინოდმა დაადგინა: 1) დაწესდეს საექსარხოსოში ბლაღოჩინების არჩევნები სამღვდელოების მიერ და 2) შემოღებულ იქმნას წესად მღვდელთა და საეკლესიო მსახურთა არჩევნები სამწყსოს მიერ! აი სინოდის პასუხი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. არჩეული ბლაღოჩინები და მღვდელ-დიაკვნები. მერე **როგორ** არჩეული? იმავ „უქაზის“ ძალით, ბლაღოჩინებს ირჩევს სამღვდელოება, მაგრამ ამტკიცებს სინოდის მიერ დაყენებული და სინოდის მორჩილი მოხელე—ეპისკოპოზი; მღვდლებისა და სხვა მსახურთა არჩევანიც ამავე ეპისკოპოზმა უნდა დაამტკიცოს. დანარჩენი ყოველივე ძველებურად რჩება; სინოდი, დანიშნული ეგზარხოსი, სინოდის მიერ გამწესებული ეპისკოპოზები, იგივე დამოკიდებულება, იგივე უუფლებობა, იგივ ბატონობა და თვითნებობა. ძირითადი რეფორმაც ამას ჰქვიან!.. იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ეს პირველი ნაბიჯია, რომ ავტოკეფალიაზე ჯერი მერე მიდგება; მაგრამ ჩვენ უკვე ზემოდ დავინახეთ, რა იმედის განხორციელება შეუძლია მომავალ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებას. იგი ხმა ამოუღებლივ დაადასტურებს სინოდის ყველა „რეფორმებს“, მათ შორის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ახლად შეთხზულს ვითომდა რეფორმასაც...

ჩვენ არ ვიცით ჯერ, როგორ მიეგება ამ „უქაზს“ საქართველოს სამღვდელოება, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ ასეთ უცნაურ „რეფორმის“ შეწყნარება შეუძლებელია: ეს იქნებოდა სამარცხვინო დათმობა, ნამდვილი თავის მოჭრა მთელის რუსეთის წინაშე.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**პეტერბურგი.** 19 მაისს, საღამოს 6 საათზე, სახ. სათათბიროს თავმჯდომარე გოლოვინი პეტერგოფში ხელმწიფემ მიიღო. გოლოვინმა წარუდგინა მოხსენება სათათბიროს მოქმედების შესახებ 1 აპრილიდან 15 მაისამდე.

სათ. პრეზიდიუმმა ფრაქციათა წარმომადგენლებთან ერთად დაადგინა: საქმის დასაჩქარებლად დაარსოს კიდევ 7 ახალი კომისია: 4—მთავრობის მიერ შეტანილ კანონ-პროექტების განსახილველად, 3—სათათბიროს მიერ წარდგენილ კანონპროექტის განსახილველად, პოლონეთის ავტონომიისა და საარჩევნო კანონის განსახილველად.

კრუპენსკის წინადადებით სდგება კომისია, რომელმაც პასუხის გებაში მიცემული დეპუტატთა საქმე უნდა განიხილოს.

## ს.-დემოკრატების კონგრესის რეზოლიუცია.

(სააგენტოს დეპეშებიდან)

**ლონდონი.** ს.-დემოკრატების კონგრესმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „გასწყვიტონ ს.-დემოკრატებმა კავშირი კადეტებთან და სხვა ლიბერალურ პარტიებთან. ოქტომბრისტებს გამოუცხადონ ბრძოლა უკომპრომისოდ“. მენშევიკთა რეზოლიუცია კომპრომისების შესახებ უარ ყოფილ იქმნა, რადგან ბოლშევიკებს ლატიშებმა და პოლონელებმა დაუჭირეს მხარი. მიღებულ იქნა ბოლშევიკების რეზოლიუცია 159 ხმის უმეტესობით 105 ხმის მენშევიკებისა და ბუნდისტების წინააღმდეგ.

## ახალი ამბავი

**მოსალოდნელი შიმშილი.** დიდად სამწუხარო ამბები მოდის კახეთსა, ქართლსა და იმერეთიდან. თითქმის მთელს საქართველოში საშინელი შიმშილია მოსალოდნელი. გაზაფხულის სიცხეებისა გამო ნათესი სულ გახრებულა. ამავე სიცხეების მიზეზით სიმინდი ვერ დაუთესიათ.

**კავკასიელი დეპუტატები.** „რუს. სლ.“-ს აცნობებენ პეტერბურგიდან, რომ

კავკასიელ დეპუტატებს განზრახვა აქვთ შეადგინონ სათათბიროში „ჯგუფი კავკასიელ უპარტიო დეპუტატებისა“. გაზეთი არ გადმოგვცემს, რომელ დეპუტატებზეა ლაპარაკი.

✦ **დაშნაკცუთიუნი** გაზ. „ნოვ. ვრ.“-ში ვკითხულობთ: „სომხური პრესსა იუწყება, რომ ჟენევაში თავ მოყრილმა დაშნაკცაკანების წარმომადგენელთა კრებამ გადასწყვიტა მოსპოს თავისი მოღვაწეობა რუსეთში და იმოქმედოს მხოლოდ ოსმალეთში.“

✦ **კანდიდატთა სია.** კვირას, 20 მაისს, ტფ. საბჭოს დარბაზში მოხდა კრება საბჭოს ხმოსანთა მესამე რაიონის ამომრჩევლებისა, რომელთაც უნდა შეედგინათ ხმოსანთა კანდიდატების სია. კრებამ აირჩია კომისია (21 კაცი) და დაავალა სიის შედგენა 27 მაისისთვის, როდესაც მეორე კრება მოხდება. კომისიაში მოჰყვნენ: ა. ს. ბაბოვი, ნ. ზ. ელიავა, სტ. თ. ქრელაშვილი, ნ. ვ. აპრამიანი, ი. ვეტცელი, ს. ა. მინაევი, მ. ე. ლუნკევიჩი, ლ. ა. მამულოვი, ბ. კუჩენბახი, ექიმი გონიევი, მ. მირიმანოვი, ა. ახნაზაროვი, ა. კაზაკოვი, დ. ემინოვი, გ. ბარტი, ი. მაშნერი, ა. ს. ღულაძე და სხვანი.

✦ **ხაზინიდან შემწეობა.** ყაზახის სამაზრო კომისიამ ხაზინიდან მიიღო 68,000 მანეთი, რომელიც უნდა დაურიგონ სომეხ-თათართა შეტაკების დროს 41 დაზარალებულ სოფელს.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში 5 წლით იგზავნება გიგო ტოგოლაძე, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა. ტფ. გუბერნიიდან იგზავნებიან: ქიტეს ხუგაშვილი ე. და ვ. [illegible] ტიმრეს რევაზ გაბრიელოვი და ურიათუბნის სამრევლო სკოლის მასწავლებელი ევგენი დალაქიშვილი. ორს უკანასკნელს აბრალებენ მიტინგზე მონაწილეობას.

✦ **ჯილდო** გურიისა და სენაკის საექსპედიციო რაზმის უფროს ტოლმაჩევისთვის გენერლობა მიუციათ.

✦ **სასიკვდილოდ დაჭრა.** 20 მაისს მიხეილის ქუჩაზე სასიკვდილოდ დასჭრეს თელავის მცხოვრები არჩილ მაყაშვილი. როგორც გადმოგვცეს, მუშტაიდიდან მომავალი მაყაშვილი დასჯახებია ერთი სამხედრო კაცს. ამაზე შელაპარაკებულან. შემდეგ უცნობს ამოუღია რევოლვერი და უსროლია მაყაშვილისთვის. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **გვთხოვენ დავბეჭდოთ:** „ამას წინად, ნაძალადევის წარმომადგენლებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, შეეჩერებია დრომდე როგორც დარჩენილ გადასახადების შეკრება, ისე ამის შესახებ სასამართლოებში აღძრული საჩივრები. ქალაქის გამგეობას გადასახადების მოკრება მართლაც შეუჩერებია. მიუხედავად ამისა, სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტი ბოქაულად ნამყოფი ტერ-სიმონიანცი ამ დღეებში მივარდნია ნაძალადევის მცხოვრებს კანდელაკს და მოუთხოვნია დარჩენილ გადასახადის 60 მან. დარიბი კაცი რას მისცემდა! ტერ-სიმონიანცს პოლიციელები მოუყვანია და გამოუცხადებია, მთელ სახლს შევკრავო. ამგვარადვე ემუქრება სხვებსაც“.

✦ 20 მაისს დასრულდა კრება სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა. ამ დღეს კრებამ გადასთ 9000 მან. ხუდადოვისებულ ქარვასლის შესაკეთებლად. არჩეულ იქმნენ გამგეობის წევრებად ი. ლისიციანი, სარუხანიანი, ა. არაქელიანი და დ. სარქისიანი.

✦ ამ ბოლო დროს ნაძალადევშიც გახშირდა ქურდ-ბაცაცობა. 18 მაისს ღამე სახლი გაუტეხეს ბაგრატ პაპიაშვილს და ნივთები წაიღეს, რუსთველის და ბოტნიჩევსკის ქუჩებზედაც გაქურდეს ერთი მცხოვრებელი.

✦ 19 მაისს საღამოს 6 საათზედ, ხოჯივანქის სასაფლაოზე ნახეს ვიღაც უცნობი დაჭრილი კაცი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, სადაც იგი ცოტა ხნის შემდეგ გადაიცვალა.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქალაქის გამგეობამ ხმოსან ექიმებთან ერთად თათბირი ჰქონდა სასანიტარო საქმის გაუმჯობესების შესახებ. კრებაზე გადასწყდა: შექმნილ იქნას სადეზინფექციო კამერა, გამოიცეს სავალდებულო დადგენილებანი, რომლითაც სახლის პატრონები ვალდებულნი გახდებიან სუფთად შეინახონ ის ნაწილი ქუჩისა, რომელიც მათ სახლს აკრავს, და გადიდდეს ნაგვის გასატანი ცხენის ურმების რიცხვი.

✦ მრეწველთა საბჭომ მიიღო წინადადება შორაპნის მაზრის უფროსისა სასანიტარო კომისიის დაარსების შესახებ ჭიათურაში, რადგან იქ მრავალი მუშა ხალხია შეკრებილი და შესაძლებელია რაიმე სენი გავრცელდეს დაბაში.

✦ მრეწველთა საბჭომ მიიღო 73 მრეწველის მიერ ხელ მოწერილი განცხადება, რომელშიაც ითხოვენ, რომ პლათფორმების განაწილებაში სამართლიანობა იყოს დაცული. მრეწველთა სიტყვით, უმეტესი ნაწილი პლათფორმებისა მიცემული აქვთ უცხოელ ექსპორტერებს, რომელნიც მდიდრდებიან, ხოლო ადგილობრივ ცხოვრებნი კი შორიდან შესცქერიან მათ. ⅔ პლატფორმებისა, ამბობენ მრეწველები, 8—9 ექსპორტერს აქვს ხელში ჩაგდებული, ხოლო ერთი მესამედი განაწილებულია 200 ადგილობრივ მრეწველს შორისაო. მრეწველები ითხოვენ, რომ პლათფორმების განაწილების საქმე მოხსენდეს მომავალ კრებას მრეწველებისას და ამასთან აკრძალულ იქნეს პლატფორმების გაყიდვა სპეკულატიის აზრით.

## პატარა ფელეტონი

### ბნელი ღამე

ბნელი ღამეა... ცა მოქრუშულა...
არ მნათობს მთვარე, არცა ვარსკვლავი;
ზღვისა ტალღებიც მიყუჩებულა,
სიჩუმე მეფობს გულის საკლავი.

უტეხ წყვდიადმა, მოწყენილობამ
სევდა-ნაღველი მიმატა გულსა;
ოჰ, ბნელი ღამე, როს გათენდება,
რად არ მიმიყვებს მზე სიხარულსა?!.

**ა. შანშიაშვილი.**

### მთის ყვავილი

„ცხოვრება მებაღესავით საუკეთესო ყვავილებსა ჰკვეცს, მაგრამ ამ ყვავილების სურნელებით მოცულია არე-მარე“.

**ლ. ანდრეევი.**

ჩემი სამშობლო მიუვალი მთაა, ნაძვნარით შემოსილი.

ხრამის პირას ვარ გამოზრდილი, იქ, სადაც ცივი წყარო გამოწანწკარებს და თავბრუ დახვეული ქვესკნელისაკენ ეშვება.

გარშემო იონჯის მწვანე ხავერდი მღელვაა და მისი მოღერებული ყლორტები ჩემს დამცველ ფოთლებს მოყვრულად შელამუნებიან.

მთვარეს ხშირად მოუბნევია თავისი ჯადოსნური სხივები.

მზის სინათლეზე აღვიზარდე, მაგრამ გაშლით მთვარის მიბნედილ შუქზე ვარ გაშლილი.

იმიტომაც ვარ ესე ნაზი და წარმტაცად ფერ-მკრთალი.

წმინდა, ხალასი, უმწიკვლო ცვარი მარგალიტად თავსა მადგმია და იმის გამომაცოცხლებელს სიგრილეზე ტანს სანეტარო ჟრუანტელი მიგრძვნია.

იადონის მომხიბლავ გალობით ხშირად დამთვრალვარ და, ეშხ-მორეულს, ნაზად თავი დამიხრია.

მთის სანეტარო ნისლი ბევრჯერ მწვევია და მეც იგი საქორწილო ლეჩაქივით კოხტად მომიბურავს.

ნაზი ნიავი მრავალ-ჯერ მოფრენილა თავის მსუბუქ ფრთით და ჩემი აკვანი საამურად ურწევია.

მსმენია ჭექა-ქუხილიც შემაზრზენის მთა და ბარისა.

ელვა ჩემს ახლო ვარჯიშობდა ცეცხლის მახვილით.

წარღვნისებური მსხვილი წვიმაც ბევრი მომხვედრია და ჩემი ტურფა კაბა, გარეშე ფოთლები, მთის უბიწო ტალახიაც გამსვრია.

მაგრამ უმანკო წყაროს და სპეტაკ ცვარსა, წვიმის შემდეგ, ჩემთვისაც დაუბანია პირი და ჩემი კაბისთვისაც ლაქა მოუშორებია.

მზის მხურვალე სხივებზე კი კვლავ წელში გავმართულვარ და უფრო მეტის თავ-დავიწყებით მომიფენია გარშემო სურნელება.

ჩემის სამყოფიდან უშველებელი სანახავი გადამშლია თვალ-წინ.

მთელი წარმტაცი ბუნება ჩემი კუთხისა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“.

და გამიგია, რომ იქ, ქვევით სცხოვრობდნენ ადამიანები.

ამბები ნიავს მოუტანია, ნისლსაც შეუტყობინებია ცოტა რამ და ღრუბლებსაც ჩაუწვეთებიათ ზოგ-ზოგი.

— რომ სცხოვრობდნენ და სჭამდნენ ერთმანერთს.

სცხოვრობდნენ და ჰკაფავდნენ ტყეებს, ამტვრევდნენ კლდეებს, ხვრეტდნენ მთებსა. ჩვენ კი, ყვავილებს, გვთხრიდნენ [illegible] ვაწყვეტდნენ ხელით.

მათს უხეშს ხელს ჩემამდისაც მოუღწევია: „ვაზა“-ში ვარ ეხლა. ქვეშ წყალი მიყენია.

ვაჟკაცის ხელმა მომწყვიტა და ქალის ნაზ, სალუქ ხელს გადამცა.

ქალი მომეფერა და გულთან მიმიკრა. მე გამოვეც სურნელება და ტურფა მივბნიდე.

ოჰ, რამდენი საიდუმლოება ამ გულისა შემეძლო გადმომეცა!

მაგრამ მე არ მიყვარან ადამიანები: არ იციან, რა არის თავისუფლება.

უთუოდ იმიტომ არ აფასებენ... სხვისას მაინც.

მე კი რითი უნდა ვძიო შური?

— ჩემის სურნელებით.

იგი მთისა არის, თავისუფალი.

ამ სურნელების ჰარმონია მთელი გულსაკლავი მუსიკაა, მოთქმაა შემაზრზენი თავისუფლებაზე.

და ვინც კი ერთხელ იგი იყნოსა... იბნიდება.

ეს არის ჩემი, ჩვენი ყვავილების შურის ძიება.

ჩვენ მოკვეცილნი ვართ, მოწყვეტილნი, მაგრამ ჩვენ უკანასკნელ სურნელებას სად წაუვლენ?

ჩვენ განგვიცდია მთის საარაკო მყუდროება, როდესაც ორბის თავისუფალი ფრთების ქნევა გაისმის.

**შალვა დადიანი.**

## პრესსა

ჩვენ ბ-ნ ლეოს წერილი ბ-ნ ი. ბ—ძეს წერილებს დაუპირდაპირეთ და ამ დაპირდაპირებიდან ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ ეს ორი ავტორი ერთი-მეორის წინაამდეგ აზრს გამოსთქვამენ. თავს დავანებებთ იმ ლანძღვა-გინებას, რომლითაც სავსეა ი. ბ—ძეს წერილი და პირდაპირ საკამათო საგანს შევეხებით. საგნის გამოსარკვევად არ იქნება ცუდი კიდევ მოვიგონოთ, რაზე მოგვიხდა შეკამათება. პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურმა საბჭომ გადასწყვიტა, კონფერენციაზე ყველა პარტიის წარმომადგენლები უნდა იქმნას მოწვეულნიო. ი. ბ—ძეს ეს არ მოეწონა და შეჰყვირა: „რა საჭირო იყო ამისთანა საქმის ჩადენა, სამარისია კონფერენციაზე სოციალ-დემოკრატები და „დაშნაკცაკანები“ იქმნან მოწვეულნიო. ჩვენ მაშინ აღვნიშნეთ, რომ პროფესიონალურ კავშირების ნეიტრალებისაგან ასეთი პოლიტიკა არ უნდა გამომდინარეობდეს, რომ პროფესიონალურ კავშირებს ისეთი პარტიების წარმომადგენლებიც უნდა მოეწვიათ, რომლებიც, მართალია, ცოტანი არიან, მაგრამ პროფესიონალურ კავშირებში შედიან. მხოლოდ ამნაირის საშუალებით მოიპოვებენ გავლენას პროფესიონალური კავშირები ხალხზე, და არა მათი გვერდზე აქცევით. ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნეთ, რომ პროფესიონალურ კავშირების ნეიტრალობას შესაფერი ტაქტიკაც უნდა მოსდევდეს. ბ-ნ ი. ბ—ძისას ბ-ნ ლეოს წერილი დაუპირისპირეთ და ვსთქვით, რომ მას (ლეოს)

> არა სურს პროფესიონალური კავშირები „ვიწრო ჩარჩოში დასტოვოს“, ამასთანავე პროფ. კავშირების გავლენის მოპოვება ხალხზე, **მცირე რიცხოვან პარტიის წევრთა ამ კავშირებიდან განდევნით კი არა, არამედ** მათი პროფესიონალურ კავშირებში ჩარევით. რადგანაც დღეს მუშები უმეტეს შემთხვევაში პარტიების გარშემო გროვდებიან, ნაწილდებიან პარტიებად, და არა ეროვნებად, **ყველა პარტიებთან** თანასწორ დამოკიდებულების დაჭერა პროფესიონალურ კავშირების უმთავრეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს.

ი. ბ—ძე ეხლა გაალმასებული გვიყვირის, როდის იყო, რომ მე პროფესიონალურ კავშირების პარტიობას ვამტკიცებდიო? მაგრამ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,—შუა უზის დიდი ზღვარი“. თქვენ შეიძლება ყველაფრის მომხრე იყვეთ, მაგრამ საქმით კი სრულიად სხვას ამტკიცებდეთ. საკმარისი არ არის, დაიძახოთ, მე უპარტიო პროფესიონალურ კავშირების მომხრე ვარო, საჭიროა, რომ ასეთი უპარტიობა ცხოვრებაშიაც, სინამდვილეშიაც განახორციელოთ. მიიღო თუ არა პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურმა საბჭომ ისეთი გარდაწყვეტილება, რომელიც „უპარტიობის“ იდეიდან ლოღიკურად გამომდინარეობდა, თქვენ მაშინვე ბუკი და ნაღარა დაჰკარით და აუწყეთ ქვეყანას, რომ პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურმა საბჭომ თავის დანიშნულებას უღალატაო.

ბ-ნი ი. ბ—ძე გვასწავლის, „ყველა პარტიების წარმომადგენლების მიწვევა“ და პროფესიონალურ კავშირებას უპარტიობა ერთი და იგივე არ არისო, თითქოს როდისმე გვემტკიცებინოს ჩვენ ისეთი უცნაური აზრი, რომ ეს ერთი და იგივე იყოს. ჩვენ წინათ ვამტკიცებდით, ეხლაც და მომავალშიაც დავამტკიცებთ, რომ პროფესიონალურ კავშირების ნეიტრალობა ყველა პარტიებთან თანასწორ დამოკიდებულების დაჭერას თხოულობს; თუ პროფესიონალურმა კავშირებმა საჭიროდ დაინახეს, რომ კონფერენციაზე არც ერთი პარტიის წარმომადგენლები არ უნდა იყვნენ მიწვეულნი, მაშინ, რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატებსაც არ ექნებათ იქ ადგილი, მაგრამ, თუ პროფესიონალურმა კავშირებმა გადასწყვიტეს, უნდა იქმნან მოწვეულნი პარტიის წარმომადგენლებიო, მაგრამ კონფერენციას კი მარტო სოციალ-დემოკრატები დაესწრნენ, ჩვენ ყოველთვის ვიტყვით, რომ პროფესიონალური კავშირები პარტიულ ნიადაგზე სდგანან და პარტიულ პოლიტიკას მისდევენ, თუმცა ამ კავშირებში სხვა პარტიების მუშებიც შედიან. ეს ცხადი დარღვევა იქნება პროფესიონალურ კავშირების ნეიტრალობისა, ვინაიდან იგი მარტო იმას კი არა თხოულობს, რომ პროფესიონალურ კავშირების **შედგენილობა** იყოს უპარტიო, არამედ იმასაც, რომ პროფესიონალური კავშირები უპარტიო **პოლიტიკასაც** მისდევდნენ. ეს კი, გავიმეორებთ, შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროფეს. კავშირები ყველა სოციალისტურ პარტიებთან თანასწორ დამოკიდებულებას დაიჭერენ.

## მაკლერი ჟურნალისტი

ქართულ სამწერლო ასპარეზზედაც გამოვიდნენ სალახანა ჟურნალისტები, რომელნიც სამწერლო კალამს თავიანთ პირად მოვაჭრეობასა და სპეკულიანტობას უმორჩილებენ და გაზეთის ავტორიტეტს რეკლამად იყენებენ მაკლერობისა და ვაჭრობისთვის. იმათ არა ჰყოფნით სავაჭრო კანტორების გახსნა და თუ დღემდის ვაჭარი თავის დახლზე მხოლოდ ანგარიშებს სწერდა და თავის დღიურ მოგებას სთვლიდა, ეხლა იმავე დახლზე სარედაქციო წერილებს სწერენ და „სისკნი პოლიციის აგენტობას“ სწამებენ იმას, ვინც მათი სპეკულიანტობა გამოამჟღავნა და აღმოაჩინა, რომ სავაჭრო კანტორას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ხალხთან და მის ინტერესებთან. ყოველი პატიოსანი ჟურნალისტი მოვალეა ასეთ მაკლერ ჟურნალისტს კრიჭაში ჩაუდგეს და უთხრას: თქვენი საქმეა მაკლერობა და ვაჭრობა, ჟურნალსა და ბეჭდვითსიტყვას კი თქვენთან არაფერი არა აქვს საერთო და არც თქვენა გაქვთ მასთან რაიმე ნათესაობა.

სათავად-აზნაურო ქარვასლაში ს. გაჩეჩილაძეს ერთი სავაჭრო კანტორა აქვს, რომელიც ვერაზე მიწებს ყიდულობს და ჰყიდის. მაგრამ მის პატრონს, ს. გაჩეჩილაძეს დახლი და ჩოთქი არ ეყო და იმის კალამს, რომელიც დღემდის ანგარიშების წერას იყო მიჩვეული, წვერი აუქავდა და საჟურნალო წერილების დაწერაც მოინდომა. ბ-ნმა გაჩეჩილაძემაც არც აცივა, არც აცხელა და „ბზიკის“ უკანასკნელ ნომერში, რომელიც, ჩვენი ცნობით, მის პასუხის მგებლობით გამოვიდა, ასეთი სტრიქონები გამოჭიმა: „მოგილოცავთ წითელ კვერცხს და გისურვებთ, რომ გადარჩენოდეთ მშვიდობით.

ქ-ნ დემურიას ცბიერობას,
დიასამიძის პატიოსან სიტყვას, სპეკულიაციას,
ადამაშვილის „სისკნაია პოლიციის“ აგენტობას.

ეხლა ვნახოთ, თუ როგორ გახდა ქ-ნი დემურია „ცბიერი“, დიასამიძე—პატიოსან სიტყვის გამტეხი და „სპეკულიანტი“ ადამაშვილი—„პოლიციის აგენტი“.

ბ-ნმა გაჩეჩილაძემ „ნაკადულის“ რედაქციას რაღაც ნაჩხაბნი მიუტანა და რედაქტორს ქ-ნ დემურიას ავანსად სთხოვა 50 მანეთი. სარედაქციო კომიტეტმა მისი წერილები ერთხმად დაიწუნა და ქ-ნმა დემურიამაც უარი უთხრა ავანსზე, ფულის უქონლობის გამო. [illegible] მაკლერმა გაჩეჩილაძემ სამაგიერო გაზეთში გადაუხადა და „ცბიერი“ უწოდა. ამავე გაჩეჩილაძეს ვერაზე დიასამიძის მიწის ყიდვა უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა და გაბრაზებულმა მას წერილით შეურაცხყოფა მიაყენა. როცა მას ანგარიში მოსთხოვეს, მან საქმე ისე დაატრიალა, ვითომ იმის სავაჭრო კანტორას ერთ-ერთ პარტიასთან ჰქონოდა დამოკიდებულება და დიასამიძეს აგრძნობინა, ვითომ მას, დიასამიძეს, პარტიასთან უნდა ჰქონდეს საქმეო. ბ-ნმა ადამაშვილმა დიასამიძის თხოვნით გაიგო და აღმოაჩინა, რომ არც ერთ პარტიას გაჩეჩილაძის სავაჭრო კანტორასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. გაჩეჩილაძემ გაიგო, რომ ის ტყუილში დაიჭირეს და.. გაბრაზებულმა დიასამიძეს „სპეკულიანტი“ უწოდა, ადამაშვილს კი „პოლიციის აგენტი“. ბ ნ გაჩეჩილაძეს პირადი უსიამოვნება ჰქონია ქვარიანთან და სხვებთანაც და ყველას კლანჭი გაჰკრა, თავისი ლაფი გადაასხა და პირადი ჯავრი პრესსის საშუალებით ამოიყარა.

იმავე ნომერში ასეთი საზიზღარი ვითომ და სახუმრო განცხადებაა დაბეჭდილი: „ვეძებ საქმროს ჭკვიანს, ახალგაზრდას, კლუბში სიარული არ უყვარდეს, საღამოს ხუთი საათიდან გარეთ არ გადიოდეს, არც ერთ ქალთან ნაცნობობა არ ჰქონდეს. მე თითონ სათნოიანი ქალი ვარ, არ მიყვარს „ვეჩერები“ და თეატრებში სიარული, ახალგაზდა ყმაწვილებს არავის ვიცნობ, პრანჭიაობა სხვებსავით არ მიყვარს. მზითევი: ფულით 500 მანეთი (კასის წიგნი ჯვარის წერის დღეს ჩაგბარდებათ), ხნით 48 წლის გახლავართ. ადრესი: ქუთაისი, ივანოვის ქუჩა“.

ცხადია, რომ ეს ისარი სწორედ ამ ქუჩისკენ არის გასროლილი და ადრესს მხოლოდ სახლის ნომერიღა აკლია. განა ეს პირადი საზიზღარი შურისძიება არ არის, მაგრამ ასე ხდება ყოველთვის, როცა ვაჭარი, მაკლერი და სპეკულიანტი კალამს მოჰკიდებს ხელს, როცა მას საანგარიშო დავთრის მაგივრად გაზეთი ჩაუვარდება ხელში და როცა საზოგადოებრივ აზრის მეთაურობას სალახანა იკისრებს.

ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ მაკლერი ჟურნალისტი იმის ყურადღების ღირსი გავხადეთ. მაგრამ მეტი გზა არ იყო: ჟურნალისტთა ბანაკში სპეკულიანტი შემოიპარა და პრესსის ავტორიტეტის ქვეშ პირად სავაჭრო საქონლის გატარება მოინდომა, და ჩვენც მოვალე ვართ საზოგადოებას მივუთითოთ მასზე და ვუთხრათ: ფრთხილად იყვით, პრესსაში შანტაჟისტი შემოიპარა!

**მონა.**

## ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრება

20 მაისს ტფ. დეპუტატთა საკრებულოში, თავ. პ. ი. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა წლიური კრება ტფ. გუბერნიის თ.-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ პირველად განიხილა 1906 წლის ანგარიში.

საანგარიშო წელს გიმნაზიაში ითვლებოდა 656 მოსწავლე, ამათგან 112 პანსიონერი და 547 გარედან მოსიარულე. გიმნაზია აღნიშნულ წელს დაუსრულებია 30 მოსწავლეს. ყველანი უმაღლეს სასწავლებლებში შესულან. საპედაგოგიო საბჭომ მხოლოდ ნახევარი წლის ანგარიში წარუდგინა კრებას, რადგან 4 ივლისს გიმნაზიის აკლებისა და სკოლის გამგის შიოჩიტაძის მოკვლის დროს საბუთები და ქაღალდები დაიხია და შეუძლებელი გახდა მთელი წლის ანგარიშის შედგენა. როგორც ვიცით გიმნაზიის ძველი სადგური ჯარმა დაიჭირა და 26 ნოემბერს გიმნაზია ახალს შენობაში გადავიდა. საბჭო ანგარიშის დასასრულ აღნიშნავს: სამი წლის საერთო მოძრაობამ დიდი გავლენა იქონია საზოგადოთ სასწავლებლის ნორმალურ ცხოვრების მიმდინარეობაზედ. სასწავლებლის ნორმალური ცხოვრება შესამჩნევად შეირყა, ახალგაზდობა გაიტაცა ცხოვრების ახალმა ტალღამ. საერთო მოძრაობას ვერ ასცდა ქართული გიმნაზია, რის გამო სასწავლებელი მეტად მძიმე პირობებში იყო ჩაყენებული და ამიტომ სწავლა სასურველად ვერ სწარმოებდაო. საანგარიშო წელს 212-ს შეუტანია თხოვნა, მაგრამ მხოლოდ 48 ყმაწვილი მიუღიათ.

სხვა და სხვა წყაროებიდან საზოგადოებას შემოსვლია სულ 213,484 მან. 29 კ. აქედან ახალ შენობაზე დახარჯულა 90,964 მ. 20 კ. გიმნაზიის შესანახად 65,405 მ. 70 კ. 2985 მ. 53 კ. დახარჯულა ქალთა სასწავლებელზე. სა-

პენსიო ფონდს დაემატა 7,743 მ. 73 კ. სულ დახარჯულა 213,484 მ. 29 კ. საზოგადოების ქონება ვალების მოშორების შემდეგ უდრის 914,926 მ. 68 კ.

კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება. კომისიის აზრით, კომიტეტი უსამართლოდ იქცევა, როცა შტატს გარეშე მყოფ მასწავლებელ საპენსიო კასის გასაძლიერებლად 5% ურიცხავს. ეს მასწავლებლები პენსიას არ მიიღებენ და რად უნდა გამოერიცხოთ მათ ჯამაგირიო. ამ შენიშვნამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. კომიტეტის წევრებმა განაცხადეს, რომ გამგე კომიტეტიც უსაფუძვლოდ სცნობს აღნიშნულ მასწავლებლების ჯამაგარიდან ფულის გამორიცხვას, მაგრამ კომიტეტი ამ შემთხვევაში მოქმედებდა საზოგადოების გადაწყვეტილების თანახმად. რადგან ეხლავე ასეთის მოვლენის მოსპობა არ შეიძლება, კარგი იქნება ეს საკითხი დარჩეს და კომიტეტი მომავალ კრებისათვის ამის შესახებ მოხსენებას წარმოგვიდგენთო. ნ. ზ. ცხვედაძე და ზოგი სხვებიც წინააღმდეგნი იყვნენ აღნიშნულ წესის დარღვევისა. კარგა ხანს თათბირის შემდეგ კრებამ მიიღო გამგე კომიტეტის წინადადება.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ერთის წევრის შენიშვნამ, რომ საანგარიშო წელს სწავლის ფული მხოლოდ 150 მან. შემოვიდა მოსალოდნელ 3600 მანეთის ნაცვლადაო. უმრავლესობამ მოითხოვა რომ მეტი ყურადღება მიექცეს სწავლის ფულის გადახდას. კრებამ დაადგინა, დაავალოს გამგე კომიტეტს, მიიღოს ყოველივე საშუალებანი სწავლის ფულის გადასახდელად და მხოლოდ შეუძლებელი მშობლები განთავისუფლებულ იქმნან ფულის შეტანისაგან.

სხდომა ნაშუადღევის 3 საათზე შეწყდა. გაგრძელება დანიშნულია დღეს, 22 მაისს 7 საათისათვის, თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

## ბეჭდვითი საქმის მუშაკთა საზოგადოება

19 მაისს მოხდა ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა პროფესიონალურ საზოგადოების დამაარსებელთა კრება. კრებას დაესწრო 20 კაცი. კრებამ პირველად განიხილა განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება, „დაშნაკცუთიუნის" გაზეთ „მშაკის" კრასნოვოდსკელ კორესპონდენტის ტერ ოჰანოვის მოკვლის შესახებ. 1907 წელს „მშაკ"-ში დაბეჭდილა კრასნოვოდსკიდან კორესპონდენცია ტერ-ოჰანიანისა. კორესპონდენციაში, სხვათა შორის, აწერილი ყოფილა მოქმედება „დაშნაკცუთიუნის" ადგილობრივ ორგანიზაციისა, განსაკუთრებით ერთის წარმომადგენელისა, რომელსაც ისეთი გავლენა მოუპოვებია ქალაქში, რომ, კორესპონდენტის სიტყვით, რასაც უნდოდა. იმას სჩადიოდა თურმე. კორესპონდენტი დასწრებია ერთს სადილს. ხსენებულ დაშნაკციუთიუნს პარტიის სასარგებლოდ დაუწყია სადილზე შეწირულ ფულის მოკრება. რამდენსამე კაცს სადილზე პროტესტი განუცხადებია და უთქვამს, მაგნაირად ფულის შეწირა ძალმომრეობააო. ამ კორესპონდენციის დაბეჭდვიდან 6 დღის შემდეგ ტერ ოჰანიანცი მოუკლავს. დაშნაკციუთიუნის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ თურმე, რომ კორესპონდენტი დაშნაკცაკანებმა მოჰკლესო. ამ საქმის გამო თათბირი ჰქონიათ საზოგადოების დამაარსებელთ. აურჩევიათ განსაკუთრებული კომისია და მიუნდვიათ გამორკვევა მკვლელობის მიზეზისა. კომისიას სამი თვე უმუშავნია. კომისიის აზრით, ტერ-ოჰანიანცი „დაშნაკცუთიუნის" პარტიის გადაწყვეტილებით მოუკლავთ იმის გამო, რომ მას კორესპონდენციაში გაუკიცხავს პარტია. კომიტეტისავე აზრით, ოჰანიანცის მოკვლას ისე შეუშინებია კრასნოვოდსკის ვაჭრები, პარტიის სასარგებლოდ 50,000 მანეთი შეუგროვებიათ. კომისიის მოხსენებამ კამათი გამოიწვია. ზოგი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ კრებას დაედგინა რამე. ბოლოს კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოების დამფუძნებლების კრება, მხედველობაში იღებს რა იმ გარემოებას, რომ კორესპონდენტი მუშეგ ტერ-ოჰანიანცი მოკლულია „მშაკ"-ში მოთავსებულ კორესპონდენციისათვის, რომლითაც მან ამხილა „დაშნაკცუთიუნის" პარტია და უმთავრესად ერთი მისი მეთაურთაგანი მის მოქმედების გამო, და სცნობს რა თანამონაწილედ ამ მკვლელობის ჩადენაში, აცხადებს უღრმეს აღშფოთებას ისეთ მოქმედებისათვის, რომელიც მიმართულია სიტყვის თავისუფლების შეხუთვისაკენ". დანარჩენი დრო კრებამ მოანდომა კავშირის წესდების პროექტის განხილვას. კრებამ მიიღო პროექტი და დაადგინა, წარუდგინოს იგი საგუბერნიო მთავრობას დასამტკიცებლად.

## პროვინციის ცხოვრება

**სოხუმი.** სოხუმის სატუსაღო, სადაც ასე ანაზდეულად გაქცეულა ორის თვის განმავლობაში თედო სახოკია, აშენებულია ჭაობიან ადგილას და არა თუ სატუსაღოში გამომწყვდეულნი ხალხი, მახლობლად დაბინავებულნი მეთევზეებიც ზაფხულობით ვერ დგებიან აქ და მთაში იხიზნებიან. ამას გარდა სატუსაღო აშენებულია 30 კაცისათვის, მაგრამ შარშანდელს აქეთ აშვიათია ისეთი დღე, რომ აქ 200 კაცზე ნაკლები პატიმარი იყოს, რომელთა უმრავლესობას პოლიტიკურნი შეადგენენ. პატიმარნი პირუტყვებსავით პირდაპირ იატაკზე ჰყრიან.

ადგილობრივი ადმინისტრაცია და ქალაქის თვითმართველობა 1905 წლიდან დაწყებული დაჟინებით ითხოვენ ახალ სატუსაღოს აშენებას და უფრო ფართო შენობის დაქირავებას, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს-რა იმის მეტი, რომ სატუსაღოთა მთავარმა გამგეობამ გადასდო 1800 მანეთი, რამაც პირიც-კი ვერ მოსწმინდა საჭიროებას.

სოხუმის ქალაქის თავი ნ. თავდგირიძე პეტერბურგში წავიდა საბჭოს მინდობილობით. ქალაქის თავს დავალებული აქვს დააჩქაროს იმ 25.000 მანეთის მიღება, რომელიც გადადებულია ქალაქის გაუმჯობესობისათვის ნავთ-სადგურთა კომიტეტის მიერ. გარდა ამისა თავდგირიძემ უნდა იშუამდგომლოს, რომ სასწავლებლების შესანახ ფულის ვალი, 15.000 მანეთი, რომელიც ამჟამად ქალაქს ვალად აწევს, მთავრობამ აპატიოს ქალაქს, რადგან ქალაქმა რეალურ სასწავლებლის შენობის შესაძენად დიდ-ძალი ხარჯი გასწია. ქალაქის თავმა უნდა იშუამდგომლოს აგრეთვე იმის შესახებაც, რომ მთავრობამ გაანაწილოს წვრილ-წვრილად გადასახდელად ის 15.000 მანეთი, რომელიც ქალაქს პოლიციის შესანახად უნდა გაეღო, მაგრამ ვერ მოახერხა საერთო ეკონომიურ კრიზისის გამო.

---

**ჭიათურა.** გვალვისაგან უსაქმოდ დარჩენილი ხალხი ჭიათურას მიაწყდა; მუშაობა გაჩნდა; შავი-ქვით დატვირთულ ურმებსა და ცხენებს კაცი ფეხს ვერ აუქცევს; მაღაროებსა და პლატფორმებზედ დიდი მუშაობაა, მაგრამ ხალხი იმდენია მოსული, რომ რამდენიც მუშაობს, იმდენი უსაქმოდ არის დარჩენილი. ხვნა-თესვის შეწყვეტის გამო, შავი ქვის ზიდვა ზესტაფონში ურმებით გაძლიერდა და კაცს ის დრო აგონდება, როცა რკინის გზა არ იყო და მთელი მადანი პირდაპირ ზესტაფონში მიდიოდა.

ადგილობრივი ბოქაული ფ. კეიდია, გახურებულ მუშაობას რომ ხედავს, მხნეობამ შეიპყრო; დღე ერთია და მის მიერ საეჭვო პირებად მიჩნეულ ხალხის დაპატიმრება უთვალავი. ამ მხრივ ბ-ნ კეიდიას საქმე გაუადვილდა, როგორც ამბობენ, ერთმა რენეგატმა ს. დ., რომელსაც ბოქაულისათვის ძვირფასი ცნობები მიუცია. საზოგადოდ ჯაშუშობა დღითი დღე ფეხს იკიდებს ჭიათურაში. იმავე რენეგატის დასმენით, ამას წინად პოლიციას უნდოდა ზ. გურულის შეპყრობა, სროლაც-კი ასტეხა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია.

14 მაისს ხალხი სამუშაოდ გამოვიდა. შავი-ქვის მზიდავთა რიცხვი აუარებელი იყო; პოლიციამ რამდენჯერმე აუკრძალა ხალხს მუშაობა. როცა სიტყვამ ვერ გასჭრა, ბოქაულ კეიდიას ბრძანებით, მუშა ხალხს მათრახები დაუშინეს. ხალხმა ძალა უნებურად შესწყვიტა მუშაობა და რა დაინახა, რომ იმავე პოლიციამ არ აუკრძალა ვაგონების დამტვირთავებს მუშაობა, მაშინ თითონ აადებინა ხელი.

---

**ს. ჯიხაიში.** უკანასკნელ ხანებში მეტად გახშირდა ხალხის დაპატიმრება. წარსულ კვირაში დააპატიმრეს პოლკოვნიკი ტოლმაჩევის განკარგულებით ათამდე კაცი და მათ შორის სამი მასწავლებელი—ორი დევიძე და შუბლაძე; მასწავლებელნი პატარა ხანს უკან სამტრედიის ბოქაულმა გაანთავისუფლა, მაგრამ არ გასულა რამდენიმე დღე, რომ პოლკოვნიკ ტოლმაჩევისაგან მოვიდა განკარგულება, მასწავლებლები დაატუსაღეთ და ქუთაისის ციხეში გაგზავნეთო. როგორც ამბობენ, მასწავლებლებს რუსეთში გზავნიან.

## რუსეთი

✦ **პოლიციის დეპარტამენტის განკარგულება.** თავის დროზე ვაცნობეთ მკითხველებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბრძანება გაუგზავნა ყველა სოფლის სამმართველოს ბრძანება, რომლითაც აუკრძალა სათათბიროს დეპუტატების სახელზე სოფლის კრებათა დადგენილებანის გზავნა. ამ ჟამად პოლიციის დეპარტამენტმა ახალი განკარგულება გაგზავნა სოფლის სამმართველოებში, რომლითაც სისხლის სამართალში მიცემით ემუქრება არა მარტო დამნაშავე მამასახლისებს, არამედ იმ მწერლებსაც, რომლებიც მთავრობისაგან აკრძალულ სოფლის კრების დადგენილებას დასწერენ ან გადასწერენ.

✦ **შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანება.** რუსეთის იმპერიის ყველა გუბერნატორს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბრძანება გაუგზავნა, რომლითაც ავალებს ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთებში სათათბიროს მოღვაწეობა ისე განმარტონ, როგორც იყო პეტერბურგის „ცნობათა შემკრებ ბიუროსაგან" იქნება განმარტებული.

✦ **მონარხისტების აგიტაცია.** სათათბიროს ზოგიერთ მემარჯვენე დეპუტატს და ამას წინად დაშლილ მონარხისტთა კრების წევრებს გადაუწყვეტიათ აგიტაცია გასწიონ [illegible], რათა სტოლიპინს [illegible] კავშირისა და თავდადებულ მოღვაწეობისათვის მადლობის ადრესი გაუგზავნონ.

✦ **მღვდელ პეტროვის დაბრუნება.** 15 მაისს დაბრუნდა პეტერბურგში სათათბიროს დასჯილი დეპუტატი მღვდელი პეტროვი, რომელიც სინოდის განკარგულებით ჩერემენეცის მონასტერში იყო გადასახლებული. და ამ ჟამად შეუსრულდა სასჯელის ვადა. ვარშავის რკინის გზის სადგური პეტერბურგში, სადაც პეტროვი მოვიდა მატარებლით, პოლიციელებით იყო აჭედილი. სანამ მატარებელი მოვიდოდა, ერთი საათით წინ პოლიციამ გარეკა ხალხი სადგურის ბაქანიდან. როცა პეტროვი ვაგონიდან გამოვიდა, პოლიციელები მჭიდროდ გარს შემოერტყნენ და სადგურის ეზომდის გაჰყვნენ. ეზოში მრავლად შეკრებილი ხალხი დიდის თანაგრძნობით მიეგება მღვდელ პეტროვს.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 15 მაისს მოსკოვის პალატას უნდა განეხილა პოლიტიკური საქმე 1905 წ. დეკემბერში მოსკოვ-ყაზანის რკინის გზაზე მომხდარ შეიარაღებულ აჯანყების შესახებ. აჯანყებას მეთაურებდნენ მემანქანე უხტომსკი, ტატარინსკი და კოტლიარენკო: უხტომსკი დამსჯელმა რაზმმა დახვრიტა, დანარჩენები კი გაიქცნენ და დღემდის ვერ აღმოუჩენიათ ისინი. სამართალშია მიცემული 15 კაცი, რომელთაც ჰბრალდებათ ხსენებულ რკინის გზის ერთი ნაწილის ხელში ჩაგდება, ჟანდარმებსა და პოლიციელებისათვის იარაღის აყრა, სამხედრო მატარებლებზე თავ-დასხმა, ტელეგრაფისა და ტელეფონის განადგურება, მოხელეებისა და კერძო კაცებისაგან იარაღის გატაცება და სხ. საქმის განხილვა დროებით გადასდო პალატამ.

✦ **გურკოს პასუხი.** მიიღო რა გურკომ როდიჩევის პასუხი და დუელის უარყოფა, წერილი გაუგზავნა, სადაც განმარტა, რომ იგი სამართალშია მიცემული არა იმ მუხლის ძალით, რომელსაც როდიჩევი გულისხმობს. ბოლოს გურკო სწერს, თუ გადაჭრით უარჰყოფთ ჩემთან დუელში გამოსვლას, სამართალში უნდა გაგიწვიოთ ცილის წამებისათვისო.

✦ **მემარჯვენეები ხელმწიფესთან.** 15 მაისს ხელმწიფემ მიიღო აუდიენციაზე სათათბიროს მემარჯვენე წევრთა დეპუტაცია: ვორონცოვ-ველიამინოვი, თავ. ურუსოვი, სარგანი, კრუპენსკი, კელეპოვსკი და სხვ. დეპუტატებს სასახლეში ჩაით გაუმასპინძლდნენ; ისინი მიიღო ხელმწიფემ და დედოფალმა ტახტის მემკვიდრითურთ და მოწყალე გულით ესაუბრნენ ნახევარი საათის განმავლობაში.

✦ **მიტროპოლიტი ანტონი და მღვდელი-დეპუტატები.** როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, სინოდი სათათბიროს დეპუტატ-მღვდლებს იწვევს საჯაროდ ხელმწიფის მიმართ თავისი ერთგულების გამოსაცხადებლად. მიტროპოლიტმა ანტონიმ დაიბარა ხსენებული მღვდლები მათთვის სინოდის განკარგულების გამოსაცხადებლად. გამოცხადდა სათათბიროს ოთხი მღვდელი-დეპუტატი. მიტროპოლიტმა ჰკითხა იმათ, პარტიის წევრებად ითვლებით თუ არაო, მღვდლებმა უპასუხეს, არც-ერთ პარტიას არ ვეკუთვნით, ხოლო სათათბიროს ფრაქციის წევრები ვართო. მიტროპოლიტი და დამსწრე ეპისკოპოსი ინოკენტი და კარის მღვდელი იანიშევი დაფიქრდნენ და ბოლოს გამოუცხადეს დაბარებულ მღვდლებს, რომ მათთვის, როგორც მღვდლებისათვის, ფრაქციის წევრობაც აკრძალულიაო. მღვდლებმა ჰკითხეს მიტროპოლიტს, გსურთ თუ არა, რომ მონარხისტებს მივეკედლოთო,—მონარხისტების გარდა ოქტომბრისტებიც არიან, რომელთაც შეგიძლიათ მიემხროთო.—მიუგო მიტროპოლიტმა. კადეტების მიმხრობა, როგორც არა დაკანონებულ პარტიისაც, მღვდლებს აკრძალათ.

ბოლოს მიტროპოლიტმა ანტონიმ გამოუცხადა მღვდელ დეპუტატებს:—პარასკევამდის ვადას გაძლევთ, პარასკევს კი გადაჭრით უნდა აღიაროთ, უარჰყოფთ წინანდელ თქვენ აზრებსა და მოქმედებას, თუ არა. უარყოფა გულ-წრფელი უნდა იყოს. თუ აღმოჩნდა, რომ შემდეგ ისევ ძველი მოქმედების გზას დაადექით, თქვენი დანაშაული გაორკეცდება.

✦ **როდიჩევის პასუხი.** მკითხველებმა უკვე იციან, რომ ცნობილმა გურკომ დეპუტატი როდიჩევი დუელში გამოიწვია. როდიჩევმა უპასუხა გურკოს შემდეგი შინაარსის წერილით: „თქვენ ამ ჟამად სამართალში ხართ მიცემული ისეთ ბოროტ-მოქმედებისათვის, რომელიც კანონისა და პატიოსნების წინააღმდეგია. სანამ თქვენ ასეთი ბრალდება გადევთ, მანამ უფლება არა გაქვთ ვინმეს დაკმაყოფილება მოსთხოვოთ თქვენ შესახებ გამოთქმულ აზრისათვის. ამ საფუძვლით მე უარვყოფ თქვენთან დუელში გამოსვლას".

## წერილი რედაქციის მიმართ

ღია წერილი სამასხრო კრებულ „ბზიკის" გამომცემელს თ. ბაქრაძეს.

თქვენ მიერ გამოცემულ ამ წლის მაისის 20-ს „ბზიკის" პირველ ნომერში, სხვათა შორის, დასტამბულია არა სახუმარო, ყოველსავე საფუძველს მოკლებული, მცირე შენიშვნა, რომელიც ჩემს პირადობას ეხება.

ამის გამო გაძლევთ წინადადებას: ავირჩიოთ შუა-კაცები, რომელნიც საქმეს ყოველ მხრით განიხილავენ, ყველაფერს გამოაშკარავებენ და მსჯავრსაც დასდებენ...

უკეთუ **სამი** დღის განმავლობაში პასუხს არ გამცემთ, მე სრული უფლება მომეცემა თქვენს ნათხრობს შესაფერი სახელი ვუწოდო და იმ ზომებს მივმართო, რა ზომებსაც დავინახავ საჭიროდ ჩემი ზნეობრივ პიროვნების ინტერესების დასაცავად...

სწორედ სირცხვილად უნდა ჩაეთვალოს ყველას ბეჭდვითი სიტყვის ასპარეზის კერძო ანგარიშების გაწმენდის სარპიელად გადაქცევა—ისიც მხოლოდ ერთად-ერთის ვაჭრულ ანგარიშ სპეკულიაციის მიზნით... **გ. დიასამიძე.**

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მაისი

**პენზა.** 18 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე, სემინარიის ბაღში მოჰკლეს სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ნიკოლოზი. მკვლელი ბაღის კარიდან ქუჩაში გავარდა, იქ მეორე ამხანაგიც შეუერთდა და ორივენი ტყეში მიიმალნენ. ჯარი დაადევნეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით კვალს ვერ მიაგნეს.

**ხერსონი.** სოფ. ზახაროვსკის გლეხები კეტებით და მასრებით შეიარაღდნენ და მემამულის ეკონომიას მიადგნენ. მოითხოვეს ორი გლეხის განთავისუფლება, რომელნიც საქონლის ზათიბში შეშვებისათვის დაეპატიმრებინათ. დარაჯებმა ხუთი გლეხი დაიჭირეს. გაიმართა ჩხუბი დარაჯებსა და გლეხებს შორის. დაშავდა ქვით ბოქაული. გლეხები ისროდნენ ქვებს და რევოლვერებს. დარაჯებმა სროლითვე გასცეს პასუხი. რამდენიმე კაცი დაიჭრა. გლეხებმა ორი დაჭერილი ამხანაგი გაანთავისუფლეს.

**სტამბოლი.** უსკიუბში აღელდნენ ის სალდათები, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ. მიზეზი ის არის, რომ ისინი ვადაზე მეტ ხანს ამყოფებს სალდათებად. აჯანყებულებმა ტელეგრაფის სადგური ხელში ჩაიგდეს და ლამობენ რკინის გზის სატელეგრაფო ბიუროს ხელში ჩაგდებასაც. ფიქრობენ აგრეთვე საელჩოების წინ დემონსტრაციის გამართვას. მოსალოდნელ მალადობის წინააღმდეგ ზომებია მიღებული.

**ლოძი.** ქალაქში პარტიულ ნიადაგზე შეტაკება განახლდა. ლიუდვიგის ქუჩაზე სასიკვდილოდ დასჭრეს მუშა ქალი.

**ამოი.** 30,000 მეამბოხე დაბანაკდა ამოადან 40 მილის მანძილზე. ფუჯოუს მეფის მოადგილემ მათ წინააღმდეგ 8000 კაცისაგან შემდგარი ჯარი გაგზავნა. მეამბოხეთ კარგი წინამძღოლი ჰყავთ. ამოის ახლო-მახლო ქალაქებში მღელვარება ძლიერდება. სამხედრო გემებს მოელიან.

**პარიზი.** მეზღვაურთა გაფიცვა მოედო ტულონს, არლს, ბორდოს, სენნაზორს, ნანტს, სეტებს. გემების დასაცველად ყველგან ზომებია მიღებული. გაფიცვა მიმართულია გემების უფროსებისა და არა პატრონების წინააღმდეგ. ხელმძღვანელნი ურჩევენ ამხანაგებს, წესრიგის დაცვას.

**ამსტერდამი.** ნიდერლანდიის მეზღვაურთა როტტერდამის კავშირმა გაფიცვა გამოაცხადა. გაფიცვაში მონაწილეობას იღებენ საქონლის მზიდავ გემების მეზღვაურნი. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის მომატებას და [illegible] ხელწერილის დაწერას.

**ვენა.** გალიციის 106 საამრჩევლო ოლქიდან ჯერ-ჯერობით აირჩიეს რეიხსტრატში 80 დეპუტატი: 14 კონსერვატორი, 2 დემოკრატი, 13 ნაციონალ-დემოკრატი, 3 პროგრესიული დემოკრატი, 4 ს.-დემოკრატი, 2 ძველი რუსინი, 8 უკრაინის პარტიისა, 4 რუსინ-რადიკალი, 4 სიონისტი, 4 უპარტიო, 1 რუსი სოციალისტი.

**პოლტავა.** კრემენჩუგის მაზრის სოფ. მანუილოვკაში ორლოვის მამულში გლეხებმა შურისძიებით (რადგან მემამულემ მიწები სხვებს მიჰყიდა) ბეღლებს ცეცხლი წაუკიდეს. დაიწვა 3000 ფუთი ხორბალი.

**ხარკოვი.** ღამე ვოზნესენსკის მაღაროში მოჰკლეს ახლახან გადმოყვანილი ინჟენერი შარიგინი.

**რიგა.** ღამე კნოპის ქარხანასთან მოჰკლეს ერთი პოლიციელი, ხოლო მეორე ხუთი დასჭრეს. თოფებიც წაიღეს.

**ირკუტსკი.** ჩიტაში ბავშვებმა ნანგრევებში იპოვეს 5 მომზადებული ყუმბარა, 11 პიროქსილინიანი შაშკა, ბიკფორდის გრეხილი და ვერცხლის წყალი. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

**პეტერბურგი.** ნაშუადღევის პირველ საათზე გალერნი ნავთ-სადგურში ქალაქის კომისია საზოგადო სამუშაოს ათვალიერებდა. კომისიაში ინჟენერი ბერსი და ნიუბერგიც იღებდნენ მონაწილეობას. ქუჩის კუთხეში მუშათა ერთი ჯგუფიდან, რომელიც კომისიას მოსდევდა, რევოლვერი გავარდა. ნიუბერგი მიუბრუნდა მუშებს და უთხრა: «რასა შვრებითო», მაგრამ ამ დროს ზედი-ზედ ორჯერ გავარდა რევოლვერი და ნიუბერგი უსულოდ დაეცა. მქვსი მუშა მიიმალა. მკვლელობის მიზეზად შურისძიებას ასახელებენ, რადგან ინჟენერს ისინი სამუშაოდ არ მიუღია.

ტყუილია გაზეთების ცნობა, ვითომ ხელმწიფის წინააღმდეგ შეთქმულობას სისრულეში მოიყვანდნენ, რომ ერთ მაღალ წრეებში დაახლოვებულ პირს თავი არ მოეკლა და ამით პოლიციისთვის თვალი არ აეხილაო. ტყუილია აგრეთვე ცნობა, ვითომ მემარჯვენეებს ახლო მომავალში არეულობის მოხდენა სურდათო.

**მარსელი.** მეზღვაურთა გაფიცვა ყველა გემს მოედო. მოვიდა ერთი გემი, ხუთი კონტრ-ნაღმოსანი და რამდენიმე ნაღმოსანი იმ აზრით, რომ ფოსტის და გასაფუჭებელ საქონლის გადატანა უზრუნველ ჰყონ.

**ორენბურგი.** მოჰკლეს პროკურორის ამხანაგი ისაევი. მკვლელი მუშა შეიპყრეს.

**იუზოვკა.** საღამოზე კარპოვსკის მაღაროს ინჟინერს სკუდინინის სახლში შვიდი შეიარაღებული კაცი შევარდა. დარაჯი და მოსამსახურე ქალი შეჰკრეს. ტელეფონი გააფუჭეს. შემდეგ შეუვარდნენ ოთახში ინჟინერს, რომელიც გაზეთს კითხულობდა. ინჟინერი მოჰკლეს და მიიმალნენ.

**ბერლინი.** ბავარიის ლანდტაგში პირველად მოხდა პირდაპირი არჩევნები. 163 დეპუტატიდან 99 ცენტრის პარტიის წევრია, 25 ლიბერალი, 19 თავისუფალ კავშირის წევრი, 20 ს.-დემოკრატი.

**ამოი.** ამოასა და სვატოუს შუა შეტაკება მოხდა იმპერატორის ჯარსა და მეამბოხეთა შორის. მოკვდა 700 კაცი. მეამბოხეებმა უკან დაიხიეს. აჯანყების მიზეზი ის არის, რომ მოხელეებმა დამშეულებს ბრინჯი არ დაურიგეს.

**მიტავა.** კოვნოის გუბერნიის კურლიანდიის მაზრის გრეზენის მამულში ლატიშებმა მოჰკლეს გრაფი კეიზერლინგი.

**ლოძი.** ლეტნი ქუჩაზე ბაბიანცში სასიკვდილოდ დასჭრეს ფაბრიკის მუშა კინდლერი, წევრი პოლონურ სოციალისტურ პარტიისა. მსროლელი დაიჭირეს. მებრძოლ რაზმის წევრი აღმოჩნდა.

**ვენა.** რეიხსტაგის კათოლიკური ცენტრი ქრისტიან სოციალისტებს შეუერთდა, თუმცა ორმავე პარტიამ დამოუკიდებელი მოქმედება შეინარჩუნა ეკონომიურ საკითხების გადაწყვეტის დროს.

**პეტერბურგი.** 19 მაისს პეტერგოფში მეფე-დედოფალმა მიიღეს სათათბიროს წევრები: ეპის. ევლოღი და პლატონი, პოლიაკოვი, გენსერბერგი, დემიანოვიჩი, მელენჩუკი, პურიშკევიჩი, სინადინო, ბიკოვი, ბელიაევი, რეინი, შულგინი, მიხაილიუკი, ემელიანოვი, საზონოვი, მედნიკოვი, სებერევი, ბულიუბაში, ვლასენკო, ლუკაშევიჩი, მილორადოვიჩი, პავლოვი, დეკანპირსკი, შკლიარევიჩი, კრასნომჩეკოვი, კუზნეცოვი, ტანცოვი, ხომიაკოვი, ბობრინსკი და ენიშერლოვი. დეპუტატები ღირს იქმნენ მოწყალე მუსაიფისა და მემკვიდრის ხილვისა.

**პეტერბურგი.** როგორც საგენტოს დეპეშებიდან სჩანს, ტულასა, ივანოვო-ვოზნესენსკსა, სმოლენსკსა, ნიჟნი-ნოვგოროდსა და კოსტრომაში არა ჩვეულებრივი სიცივეა და თოვლიც მოვიდა.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი.**

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირებს გარდა
**ღებულობენ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. ბეგლარიშანი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გამყრელიძე:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. ბ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. შმერზინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**
(150—ხალ.—77)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.



**სატირო**
**თანამშრომელნი ორივესქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**
მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.
ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ, д. 15, и 5. (100—71—14)

**ქართველ** ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და **მესტამბეთა საყურადღებოდ.** ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი:** ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.**
(30—უ.—25) ია ეკალაძე-ცინცაძე.

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი.** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

**კეფირი**
**ო. კორონისა**

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძაფრეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,
მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება
**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.
(50—ხალ.—14) პატივ. **ო. კორონა.**

საგანაშვილი-თხინვალის სააგარაკოში საბურთალოს ახლოს ვერაზედ
**იყიდება მიწები**
25, 40, 60 და 80 კაპ. თითო ოთხკუთხი საჟენი ერთი წლის გადახდის ვადით ნაწილ-ნაწილად. მიწები იყიდება კიდევაც ნაჭრებად და ჩქარა გათავდება. ხელის მომწერთა სიის შესრულებისა და ბეების შემოტანისათანავე მოხდება კენჭის ყრა და ყველას ჩაბარდება თავის ხვედრი მამული. მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი № 153 დ. მაჭავარიანს და ნ. გელოვანს 9—2 საათამდე და 5—7 საათამდე. (15—92—7)


**ტფილისის ქალაქის**
# გამგეობა

აფრთხილებს ქალაქ ტფილისის მცხოვრებთ, რომ სამშაბათს, 22 მაისს საღამოს გარეცხავენ ქვემო რეზერვუარს, რომელიც წყალს აწვდის ნაძალადევის, დიდუბის, კუკიის, რიყის, მოედნის, ხარფუხის რაიონებში მცხოვრებთ, აგრეთვე გოლოვინის პრ. ქვემო ქუჩებისა და განოვის ქუჩაზე მცხოვრებთ. ამიტომ სთხოვს აღნიშნულ რაიონების მცხოვრებთ აღნიშნულ დღისთვის დროზე დაიმზადონ წყალი. (1—6—1)


პირველ აპრილიდან ტფილისში გაიხსნა
ფეხსაცმელების სახელოსნო
**„იმედი“**
მიხეილის ქ., № 55, სახ. სლივიცკისა.
სახელოსნოში მზადდება: შევროვისა, ხრომისა და სხვა ძვირფას ტყავეულობის ფეხსაცმელები ქალებისა და ვაჟებისათვის. აგრეთვე მზადდება წუღები, მესტები, სხვა და სხვა შავი საქონელი და ზაფხულისათვის საუკეთესო პარუსინების სხვა და სხვა ფერის ფეხსაცმელები. მსურველთ ყველა ზემოხსენებული საქონელი ხელმისაწვდენ ფასებში დაეთმობათ. სახელოსნო ყველა საქმეებს ასრულებს პირიანად და სუფთად. (უ)


**ახალი წიგნი**
დაიბეჭდა და გადაეცემა „წ. კ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას გასასყიდად
**ახალი ისტორიული მონოგრაფია**
**ამბოხება კახეთისა 1812 წ.**
ა. ფრონელისა.
ვინც მოისურვებს წიგნის შეძენას, უნდა მიმართოს „წ. კ. საზოგადოების“ მაღაზიას. იგი ფას დადებით გაუგზავნის როგორც ამ წიგნს, ისე „მთიულეთს 1804 წ.“ (10—უ.—10)

# განცხადება
**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკი გამგეობისა**

ხსენებულ ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე-14 §-ის ძალით, 1907 წლის ივნისში ბანკის სადგომში, ტფილისს (ფრეილინის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი) საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ქვემოდ აღნიშნულ პირთა ის უძრავი მამულები, რომელიც ამ ბანკშია დაგირავებული, რადგან პატრონთ არ შემოუტანიათ ბანკის წესდების 12, 17, 27 28 და 36 §§-ით დაწესებული გადასახადები 1907 წლის 1 ლ იანვრიდან 1907 წლის პირველ ივლისამდე.

იმ მამულებზე ვაჭრობა, რომელშიაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული მოხდება: 1) ქალაქის მამულებზე, რომელიც ტფილისის ქალაქშია, 21 ივნისს. 2) რომელიც სხვა ქალაქებშია, აგრეთვე სხვა ადგილებში, სადაც მამულები იგირავება გრძელ ვადით, როგორც ქალაქის მამულები, 25 ივნისს. 3) სოფლის ყველა მამულებზე, 28 ივნისს.

თუ აღნიშნულ დღეებში ვაჭრობა არ მოხდა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ბანკის წესდების მე-20 § ის ძალით, მოხდება იმავე გამგეობაში 1907 წ. 12 ივლისს.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-17 § ის ძალით, დაიწყება ძირითად ვალის იმ დარჩენილ ჯამებიდან, რომელიც ქვემოდ არის აღნიშნული ქვემოდ აღნიშნულ ბანკის გადასახადის ნედოიმკებისა და აგრეთვე სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების და მათ ნედოიმკების დამატებით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ვისაც სურს შეისყიდოს ის მამულები, რომელზედაც გრძელ ვადიანი სესხია გაცემული, აგრეთვე ის მამულები, რომელზედაც თუმცა მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული, მაგრამ ვალის გადახდის ვადა არ შესრულებულა, მოვალეა წარმოადგინოს ნაღდ ფულად ბე; ბე იმდენი უნდა იქნეს, რამდენიც ბანკის გადასახადების ნედოიმკა, აგრეთვე რამდენიც სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების ნედოიმკები იქნება ვაჭრობის დღემდე გასასყიდ მამულზე. ხოლო ვისაც იმ მამულების შესყიდვა ჰსურს, რომლებზედაც მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული და რომლების თავნი ვალის გადახდის ვადა უკვე დადგა, მოვალეა წარმოადგინოს ბედ გარდა ზემოდ აღნიშნულისა კიდევ 10% თავდაპირველის თავნის ვალისა.

დამტკიცების ხარჯი და ის ზედ მეტი ფული, რომელიც ვაჭრობაზე შეაძლიეს ბანკს, მყიდველმა უნდა წარმოადგინოს 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

თავნი ვალი იმ მამულებზე, რომლებშიაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, აგრეთვე იმ მამულებზე, რომელშიაც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი და ვადაც არ გასულა, მყიდველს შეუძლია თავის თავზე გადაიტანოს წინანდელ პატრონის ყველა ვალდებულებებით; ხოლო იმ მამულებზე, რომელზედაც მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული და ვადა უკვე გაუთავდა, დარჩენილი თავნი ვალი სრულიად უნდა იქნეს გადახდილი ნაღდ ფულად 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

ბანკის წესდების მე-15 §-ის ძალით, პატრონს შეუძლია შემოიტანოს ნედოიმკები ვაჭრობის დღემდე და ამრიგად გაანთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია გაიცნოს ყველა საქმეები გასაყიდ მამულების შესახებ ბანკის კანცელარიაში ყოველ დღე კვირაუქმეების გარდა.

ამასთანავე ბანკი წინდაწინვე უცხადებს მამულების მყიდველთ, რომ ბანკი პასუხს არ აგებს, თუ დაგირავებულ გასასყიდ მამულების აღწერა არ ეთანხმება მამულების დღევანდელ მდგომარეობას.

## ქალაქის მამულები,
**რომლის გირაოზედაც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი**
(საჯარო ვაჭრობა დანიშნულია 21 ივნისს 1907 წ.)
**ტფილისის გუბერნია**
**ქალ. ტფილისის მამულები**

აბოევი გევორქ ივანეს ძე: შენობები, მიწა ზომით 49 ოთხკ. საჟ. მე-9 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე.
თავნი ვალი 3964 მ. 73 კ., ნედოიმკა 285 მ. 65 კ., სულ 4250 მ. 38 კაპ.

აბოევი გევორქ ივანეს ძე: მიწის ნაჭერი, ზომით 1966 ოთხკ. საჟ. მე-7 ნაწილში, კახეთის ქუჩაზე.
თავნი ვალი 5586 მ. 14 კ, ნედოიმკა 404 მ., სულ 5990 მ. 14 კ

აბოევი გევორქ ოჰანესას ძე: შენობები, მიწა ზომით 700 ოთხკ. საჟენი, მე-8 ნაწილში, ნიკოლოზის ქუჩაზე.
თავნი ვალი 111722 მ. 68 კ., ნედოიმკა 9044 მ. 12 კ., სულ 120766 მ. 80 კ.

აბოევი გევორქ ოჰანესას ძე (იგივე ივანეს ძე): მიწის ნაჭერი, ზომით 3337,3 ოთხკ. საჟენი. 1 ნაწილში, მოსკოვის ქუჩის ზემოთ, უსახელო გორაკზე
თავნი ვალი 2234 მ. 44 კ., ნედოიმკა 173 მ. 2 კ., სულ 2407 მ 46 კ.

აბრამოვი მოსე საველის ძე: შენობები, მიწა ზომით 120 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწილში, დიდუბეში, შერემეტიევისა და სოხუმის ქუჩებზე.
თავნი ვალი 10897 მ. 58 კ, ნედოიმკა 439 მ. 36 კ., სულ 11336 მ. 94 კ.

აბრამოვი სერგეი ვოსკანის ძე: შენობები, მიწა ზომით 490 ოთხკ. საჟენი, მე 10 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე
თავნი ვალი 52037 მ. 48 კ., ნედოიმკა 2401 მ 37 კ., სულ 54438 მან. 85 კ.

აბულაძისა ნინო ქრისტეფორეს ასული: შენობები, მიწა ზომით 90 ოთხ-კუთხი საჟ., მე-9 ნაწილში, მიხეილის ქუჩაზე.
თავნი ვალი 23858 მ, ნედოიმკა 1068 მ. 37 კ., სულ 24926 მ. 37 კ.

ავეტიქოვისა ევგენია ვასილის ასული: შენობები, მიწა ზომით 300 ოთხ-კ. საჟ. მე 6 ნაწილში, ვორონცოვის ქუჩაზე.
თავნი ვალი 2316 მ 64 კ., ნედოიმკა 121 მ. 38 კ., სულ 2438 მ. 2 კ.

ავეტისოვი არტემ ოვაქიმის ძე: შენობები, მიწა ზომით 196 ოთხკ. საჟ. მე-6 ნაწილში, სუმბათოვის ქუჩაზე.
თავნი ვალი 16571 მ. 90 კ., ნედოიმკა 855 მ., 55 კ, სულ 17427 მ. 45 კ.

ავეტისოვი სერგეი ოვაქიმას ძე: შენობები, მიწა ზომით 122,14 ოთხკ საჟენი მე-10 ნაწილში, ბულვარის ქუჩაზე.
თავნი ვალი 19226 მ. 39 კ., ნედოიმკა 1019 მ. 12 კ., სულ 20245 მ. 51 კ.

ადალაროვი აბას-ყული ბეკ: შენობები, მიწა ზომით 296 საჟენი და 5 არშინი ოთხკუთხი, მე 6 ნაწილში, სეიდ-აბადის აღმართზე და ყრუ შესახვევში.
თავნი ვალი 5168 მ. 57 კ., ნედოიმკა 368 მ. 17 კ., სულ 5546 მ. 74 კ.

ადალაროვი მირზა-ყული-ბეკ: შენობები, მიწა ზომით 22 საჟენი და 2 არშინი ოთხ-კუთხი, მე-6 ნაწილში, აბანოს ქუჩაზე
თავნი ვალი 3781 მ. 21 კ, ნედოიმკა 316 მ. 14 კ., სულ 4097 მ. 35 კ.

აგარონოვისა ეკატერინე იაგორის ასული: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 32 ოთხკ. საჟ. მე-5 ნაწილში, ფომინის ქუჩაზე.
თავნი ვალი 2616 მ. 73 კ., ნედოიმკა 231 მ. 34 კ., სულ 2848 მ. 16 კ.

ადნიაშვილი ელისაბედ სიმონის ასული: შენობები, მიწა ზომით 90 ოთხკ. საჟ., მე-3 ნაწილში ტროიცკის ქუჩაზე და ტროიცკის მისახვევში.
თავნი ვალი 9622 მ. 62 კ., ნედოიმკა 265 მ. 78 კ., სულ 9888 მ. 40 კ.

ადამოვი ეკატერინე ანტონის ასული: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 136,88 ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწილში, ლაზარევისა და ვახტანგოვის ქუჩებზედ.
თავნი ვალი 2120 მ. 73 კ., ნედოიმკა 119 მ. 63 კ, სულ 2249 მ. 36 კ.

ჭაჯი-მამედ აღი-კურბან-ოღლი: შენობები, მიწა ზომით 100 ოთხკ. საჟ, 1 ნაწილში, ვარდის-უბნის ქუჩაზე.
თავნი ვალი 14253 მ. 40 კ., ნედოიმკა 651 მ. 99 კ., სულ 14905 მ. 39 კ.

აივაზოვი ბაბა გიორგის ძე: შენობები, მიწა ზომით 95 ოთხკ. საჟ, მე-10 ნაწილში, დიდუბეში, პროქტიროვანის ქუჩაზე.
თავნი ვალი 12928 მ. 81 კ., ნედოიმკა 589 მ. 82 კ., სულ 13518 მ. 63 კ.

აივაზოვი ბაბა გიორგის ძე და ტარვერდიანი ხამბერგ მოსეს ძე: შენობები მიწა ზომით 150 ოთხკ., საჟ., მე-10 ნაწილში, ავჭალის ქუჩის გაგრძელებაზე.
თავნი ვალი 18461 მ. 46 კ., ნედოიმკა 1304 მ. 64 კ., სულ 19766 მ. 10 კაპ.

ჭაირაპეტოვი სერგეი ავეტიქას ძე: შენობები, მიწა ზომით 88 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწილში, ფეთხაინის შესახვევში.
თავნი ვალი 1170 მ. 75 კ, ნედოიმკა 97 მ. 99 კ., სულ 1268 მ. 74 კ.

აკოფაშვილისა მელანია გიორგის ასული: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 91,8 ოთხკ. საკ., მე-9 ნაწილში, არსენალის ქუჩაზე.
თავნი ვალი 9127 მ. 75 კ., ნედოიმკა 378 მ. 01 კ, სულ 9505 მ. 76 კ.

ალადაგოვისა სოფიო გრიგორის ასული: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით, $32^{2}/_{9}$ ოთხკ. საჟ.; მე-5 ნაწილი, პოკლონნის შესახვევში.
თავნი ვალი 2868 მან. 97 კაპ., ნედოიმკა 245 მ. 23 კ, სულ 3114 მან. 20 კაპ.

ალადაგოვისა სოფიო გრიგორის ასული: შენობები, მიწა ზომით $164^{1}/_{2}$ ოთხკუთ. საჟ.; მე-5 ნაწილში, არღუთინსკის ქუჩის დასაწყისში.
თავნი ვალი 22071 მ. 80 კაპ., ნედოიმკა 1687 მან. 60 კაპ., სულ 23759 მან. 40 კაპ.

ალეინიკოვისა ალექსანდრა ლონგინოზის ასული: შენობები, მიწა ზომით 114 ოთხკუთხი საჟ.; მე-2 ნაწილში, დავიდოვის ქუჩის მისახვევში.
თავნი ვალი 9388 მან. 52 კაპ., ნედოიმკა 207 მან. 44 კაპ., სულ 9595 მან. 96 კაპ

ალექსანიანცი ანა სოლომონის ასული და ოქოევისა ელისაბედ სერგოს ასული: შენობები, მიწა ზომით 48 ოთხკუთხი საჟ.; მე 7 ნაწილში, სირაჯხანის აღმართში.
თავნი ვალი 2200 მან. 57 კაპ, ნედოიმკა 561 მან. 48 კაპ., სულ 2762 მან. 5 კაპ.

ალექსიშვილი-მესხიშვილი ნიკოლოზ იაკობის ძე: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 176 77 ოთხუთხი საჟ.; 1-ლ ნაწილში, გრიბოედოვის ქუჩაზედ და უსახელო შესახვევში.
თავნი ვალი 31426 მან. 12 კაპ., ნედოიმკა 3003 მან. 69 კაპ., სულ 34429 მან 80 კაპ.

ალიმბაროვისა ევდოკია სტეფანეს ასული: შენობები, მიწა ზომით 100 ოთხკუთხი საჟ.; მე-10 ნაწილში, ანდრეევის და გორის ქუჩების კუთხეში.
თავნი ვალი 16991 მან. 74 კაპ., ნედოიმკა 922 მან. 62 კაპ., სულ 17914 მან. 36 კაპ.

ამიროვები მირონი და ანა გრიგორის ძენი და ალელოვისა მარიამ გრიგორის ასული: შენობები, მიწა ზომით 300 ოთხკუთხი საჟ ; მე 5 ნაწილში, სალდათის ბაზარში, პუშკინის ქუჩაზე.
თავნი ვალი 76505 მან. 54 კაპ., ნედოიმკა 2925 მან. 30 კაპ., სულ 79430 მან. 84 კაპ.

ამირხანოვები ნინა არტემის ასული, გარეგინი (იგივე მესროპი), მარგალიტა (იგივე მონიკა) და გრიგორი ალექსის ძენი: შენობები, მიწა ზომით 95 ოთხკუთხი საჟ.; 1-ლ ნაწილში, ყაზბეგის ქუჩაზე.
თავნი ვალი 16655 მან. 22 კაპ., ნედოიმკა 1463 მან. 51 კაპ., სულ 18118 მან., 73 მან.

აშიანცი ლაზარე სერგოს ძე: შენობები, მიწა ზომით $48^{4}/_{7}$ ოთხკუთხი საჟ.; მე-7 ნაწილში, არარატის ქუჩაზე.
თავნი ვალი 2831 მან. 95 კაპ., ნედოიმკა 149 მან. 72 კაპ., სულ 2981 მან. 67 კაპ.

არამკელისოვი ალექსანდრე გაბრიელის ძე: შენობები, მიწა ზომით 231 ოთხკ. საჟ.; 1-ლ ნაწილში, ჭავჭავაძის ქუჩაზე.
თავნი ვალი 23721 მან. 67 კაპ., ნედოიმკა 1157 მან. 7 კაპ., სულ 24878 მან. 74 კაპ.

არღუთინსკი-დოლგორუკოვი გრიგორი ასლანის ძე: შენობები, მიწა ზომით 202,8 ოთხკ-უთხი საჟ.; 1-ლ ნაწილში, მეორე ვოდოვოზნის ქუჩაზე.
თავნი ვალი 35326 მან. 54 კაპ., ნედოიმკები 3616 მან. 74 კაპ., სულ 38943 მან. 28 კაპ.

არღუთინსკი-დოლგორუკოვი გრიგორი ასლანის ძე: შენობები, მიწა ზომით 148,4 ოთხკუთხი საჟ.; 1-ლ ნაწილში, ანასტასიევის ქუჩაზე.
თავნი ვალი 34427 მან. 51 კაპ., ნედოიმკა 2072 მან. 8 კაპ., სულ 36499 მან. 59 კაპ.

არღუთინსკი-დოლგორუკოვისა კლავდია ივანეს ასული: შენობები მიწა ზომით 144,2 ოთხკ. საჟ.; მე-10 ნაწილში, ალექსანდრეს ქუჩაზე.
თავნი ვალი 4621 მ. 52 კ., ნედოიმკები 188 მ. 89 კ., სულ 4810 მ. 41 კ.

არღუთინსკი-დოლგორუკოვი ნიკოლოზ ანდრიას ძე: შენობები, მიწა ზომით 371,25 ოთხკუთხი საჟ.; 1-ლ ნაწილში, ოლგის ქუჩაზედ და უსახელო მისახვევში.
თავნი ვალი 11346 მან. 43 კაპ., ნედოიმკა 714 მან. 6 კ., სულ 12060 მ. 49 კაპ.

არჯევანიძე პავლე არჯევანის ძე და ტასია სოლომონის ასული: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 47 ოთხკუთხი საჟ.; მე-2 ნაწილში, მე-2 ნავთრნის ქუჩაზე.
თავნი ვალი 1120 მან. 6 კაპ., ნედოიმკა 112 მან. 96 კაპ., სულ 1233 მან. 2 კაპ.

არნაუტოვები არტემ და დავით სარქისას ძენი (იგინივე სერგოს ძენი): შენობები, მიწა ზომით 14 ოთხკუთხი საჟ. და $2^{1}/_{2}$ არშინი; მე-3 ნაწილში, სალდათის ბაზარში, ბაზრის მოსახვევში, სამების ქ.
თავნი ვალი 4524 მან. 84 კაპ., ნედოიმკა 340 მან. 39 კაპ., სულ 4865 მან. 23 კაპ.

არუთინოვი ალექსანდრე ავეტის ძე: შენობები, მიწა ზომით 67 ოთხკუთხი საჟ.; მე-3 ნაწილში, ვანქის ქუჩაზე.
თავნი ვალი 2951 მან. 78 კაპ., ნედოიმკა 138 მან. 82 კ., სულ 3090 მ. 60 კაპ.

არუთინოვები არუთინ მელქოს ძე და ნატალია სერგეის ასული: შენობები, მიწა ზომით დაახლოვებით 99,3 ოთხკუთხი საჟ.; მე 9 ნაწილში, ელისაბედის ქ.
თავნი ვალი 11547 მან. 16 კაპ., ნედოიმკა 726 მან. 37 კაპ., სულ 12273 მან. 53 კაპ.